ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დასაქმებისა და კარიერული განვითარების ფორუმი

2022

21 დეკემბერი

დღის წესრიგი

13:00 - 17:00 - დასაქმების ფორუმი

საინფორმაციო სესიები

13:30 - 14:00 - პროფორიენტაცია და მოტივაცია
მომხსენებელი: სოფიო დოლიძე, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

14:00 - 14:30 - საქართველოს შრომის ბაზარი
მომხსენებელი: დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

14:30 - 15:00 - რა გავითვალისწინოთ CV-ის შედგენისას?
მომხსენებელი: MOORE ABC

15:00-15:30 - ტრენინგი POWER BI - ის შესახებ
მომხსენებელი: FINA LLC

15:30 - 16:00 - პროფესია გიდი
მომხსენებელი: VISIT GEORGIA

16:00 - 16:30 - სტუდენტური დასაქმების პლატფორმის HERIO პრეზენტაცია
მომხსენებელი: პლატფორმის HERIO დამფუძნებელი

16:30 - 17:00 - "კარფურის" მენეჯერების სწავლებისა და დასაქმების პროგრამის პრეზენტაცია
მომხსენებელი: CARREFOUR GEORGIA

ფორუმსა და საინფორმაციო შეხვედრებზე დასწრება შეუძლია თსუ-ის ნებისმიერ სტუდენტს

https://www.facebook.com/careerTSU

career@tsu.ge

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის მიზანია სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში სტუდენტური ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა და დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს საზოგადოებაში პროფესიული და სოციალური უნარების რეალიზებაში.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიზანია მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა, ამისათვის სააგენტო აქტიურად შეისწავლის შრომის ბაზარს, იკვლევს ტენდენციებს და ერთმანეთთან აკავშირებს სამუშაოს მაძიებელსა და კომპანიებს. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განმტკიცებით თანამშრომლობს ცირკულარული მიგრაციის საკითხებზე. ამასთან შრომის ბაზარზე ინტეგრაციის გამარტივებისთვის მოსახლეობას სთავაზობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროექტებს.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს მასწავლებელთა კარიერული კომპეტენციების ზრდასა და მათთვის დასაქმების თანაბარი პირობების შექმნას. ცენტრი არის საჯარო სკოლებში დასაქმების მსურველებისა და თავად ამ სკოლებს შორის დამაკავშირებელი რგოლი. ამასთან ცენტრში ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური ამოცანაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა; ჰარმონიული, ზრუნვაზე ორიენტირებული, მეგობრული და თანასწორი გარემოს ფორმირებისა და განმტკიცების ხელშეწყობა; ძალადობის/ბულინგის, სარისკო ქცევების პრევენცია და უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირება; მოსწავლეების და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული სხვა სუბიექტებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების უზრუნველყოფა.

იუსტიციის სახლი იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის ფარგლებში სახელმწიფო სერვისების უმრავლესობაა მოქცეული. იუსტიციის სახლი მოქალაქეებს აწვდის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების, სხვადასხვა საჯარო უწყებებისა და კერძო სექტორის 470-მდე მეტ სერვისს. იუსტიციის სახლი სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმით მნიშვნელოვნად ამარტივებს საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობას და მოქალაქეების ურთიერთობას საჯარო სექტორთან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს 265 მომსახურებას სთავაზობს იუსტიციის სახლების, საზოგადოებრივი ცენტრების, ტერიტორიული ფილიალებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით.
სააგენტოს საქმიანობის ვექტორია უახლესი და მაღალტექნოლოგიური სისტემების დანერგვის გზით, სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, შესაბამისი რეესტრების წარმოება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

შემოსავლების სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მისიაა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.

არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც შექმნილია "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. გარდა საზედამხედველო ფუნქციისა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია და დანაშაულის პრევენცია.

გარემოს ეროვნული სააგენტო არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სააგენტოს სახით 2008 წლის 1 სექტემბერს შეიქმნა.
სააგენტოს მიზანია გეოლოგიური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური და გარემოს ხარისხობრივ მდგომარეობაზე დაკვირვება, მონაცემთა შეკრება, დამუშავება, პროგნოზირება, სტრატეგიების განსაზღვრა და განხორციელება გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად.

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური წარმოადგენს სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას და მისი საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს. საქმიანობის ეფექტიანი წარმოებისათვის საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. სტატისტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მიზანია საერთაშორისო პრაქტიკისა და მეთოდიკის დამკვიდრება და შესაბამისი გამოცდილების გაზიარება.

თბილისის მუნიციპალური „მუზეუმების გაერთიანება" 2016 წლის 29 ივლისს დაფუძნდა და წარმოადგენს თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანებას, რომელიც გულისხმობს 9 დამოუკიდებელი მუზეუმის ერთიან ინსტიტუციას. გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების უმრავლესობა მრავალი წელია არსებობს და ქართული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დამცველად გვევლინება.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ წამყვანი კომპანიაა საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. კომპანია უზრუნველყოფს თბილისის, მცხეთისა და რუსთავის მოსახლეობას, სახელმწიფო დაწესებულებებს და კომერციულ ობიექტებს. GWP -ის ერთერთი უმთავრესი პრიორიტეტია ადამიანური კაპიტალის კვალიფიკაციის და მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა. სწორედ ამ მიზნით, კომპანიამ საკუთარი სასწავლო ცენტრი გახსნა, რომელიც ახალი თანამშრომლების მომზადებას, არსებული თანამშრომლების გადამზადებას და დარგის სპეციალისტებისთვის აუცილებელი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას ემსახურება.

ვიზიტ-ჯორჯია 25 წელია რაც ტურისტულ სექტორში ერთერთ წამყვან პოზიციას იკავებს. სააგენტო ცდილობს მოერგოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, განავითაროს პასუხისმგებლიანი ტურიზმი და გააღრმავოს ნდობა. კომპანია ახორციელებს სხვადასხვა ხანგრძლივობისა და სირთულის ტურებს მთელი საქართველოს მასშტაბით

სილქნეტი ქვეყნის წამყვანი სატელეკომუნიკაციო ოპერატორია, რომელიც სთავაზობს ბიზნესსა და მომხმარებლებს სრული სპექტრის სატელეკომუნიკაციო სერვისებს: მობილურ მომსახურებას, ფიქსირებულ ინტერნეტს, მაუწყებლობის ტრანზიტს და ფიქსირებულ ტელეფონს. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია პასუხისმგებლიანი ბიზნესის მართვა, ინკლუზიურობაზე ზრუნვა და უამრავი სასარგებლო პროექტის განხორციელება განათლების, სპორტის, კულტურის და ეკოლოგიური მიმართულებით. 2019 წელს კომპანიის ბაზაზე დაფუძნდა "ევრონიუს ჯორჯია"

„ევექსი კლინიკები" ქვეყნის მასშტაბით ყველაზე ფართო კლინიკების ქსელია, რომელიც საქართველოს 6 რეგიონში აერთიანებს 33 კლინიკას, საიდანაც 14 პოლიკლინიკა, ხოლო 19 მცირე ზომის კლინიკაა. ორივე ერთეული პირველად ამბულატორიულ მომსახურებას ახორციელებს. პოლიკლინიკებში პაციენტებს სრული გეგმიური ამბულატორიული მომსახურების მიღება შეუძლიათ. კლინიკებში კი მცირე ოპერაციები ტარდება.

მოორ ეიბისი წარმატებული და შედეგებზე ორიენტირებული სერტიფიცირებული შემფასებლების, ბუღალტრებისა და ბიზნეს კონსულტანტების გუნდით, გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს, რომელიც მოიცავს ქონების შეფასებას, აუდიტს და მარწმუნებელ გარიგებებს, ბუღალტერიას, ბიზნეს აუთსორსინგს, საგადასახადო და სხვა საკონსულტაციო მომსახურებას. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს ზრდაში, გლობალური და ადგილობრივი მიზნების მიღწევაში.

ECOVIS Georgia-ს კვალიფიციურ გუნდს აქვს კერძო და სახელმწიფო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება საგადასახადო შემოწმების, დავების განხილვის, კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საგადასახადო პოლიტიკის განსაზღვრის მიმართულებით.

ECOVIS Georgia აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო ცვლიებების განხილვის პროცესში და ასევე, შემოსავლების სამსახურის მიერ მომზადებულ ნორმატიული აქტებისა და სიტუაციური სახელმძღვანელოების (მენუალების) პროექტების განხილვის პროცესში.

BDO არის წამყვანი აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია, რომელიც 1999 წლიდან ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და კლიენტებს სთავაზობს ბიზნეს სერვისების ფართო სპექტრს, იურიდიულ მომსახურებას და მრავალფეროვან ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს.
200-ზე მეტი პროფესიონალითა და გლობალური ქსელის მხარდაჭერით, რომელიც 164 ქვეყანასა და ტერიტორიაზეა წარმოდგენილი, BDO-ს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია უმსხვილეს აუდიტორულ და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიებს შორის.

Nexia TA საერთაშორისო აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანიების ათეულში შემავალი ბრენდის – Nexia International-ის წარმომადგენელია საქართველოში.
Nexia-ს ქსელი ფოკუსირებულია სხვადასხვა ქვეყანაში მხარი დაუჭიროს ადგილობრივი ბიზნესის ზრდასა და განვითარებას. Nexia TA აერთიანებს სამასამდე პროფესიონალს და 500-მდე კლიენტს. კომპანიის თანამშრომლები ყოველდღიურად ქმნიან და ავითარებენ ახალ ხედვებს და შესაძლებლობებს კლიენტი კომპანიების გამოწვევების გადასაჭრელად.

საქართველოს ბანკი ავითარებს საცალო და პერსონალური ბანკინგის მიმართულების პროდუქტებს და სერვისებს, რომლითაც დღეისათვის 2,5 მილიონზე მეტი ადამიანი სარგებლობს. საამაყო და ამავდროულად საპასუხისმგებლო სახელის ქვეშ, საქართველოს ბანკი დღეს 6 ათასამდე თანამშრომელს აერთიანებს.
წლების განმავლობაში, კომპანია ლიდერი ბანკის სტატუსს ფლობს, როგორც ფინანსური მაჩვენებლებით, ისე მოსახლეობის აღქმაში.

ლიბერთი ბანკი არის ერთერთი უმსხვილესი დამ-საქმებელი საქართველოში და ის მუდმივად აუმჯობესებს მომსახურებას. 2017 წლიდან ლიბერთი ახორციელებს კორპორაციული სოციალური პასუხის-მგებლობის პროგრამებსა და პროექტებს, შესაბამისი ბენეფიციარებისთვის.
ლიბერთი ყოველწლიურად ატარებს დასაქმების კამპანიას - Craft Your Future Career-ს და მთელი საქართველოს მასშტაბით კიდევ უფრო მეტ შესაძ-ლებლობას ქმნის ახალგაზრდებისთვის პირველი კარიერული ნაბიჯების გზაზე.

თიბისი ერთერთი უმსხვილესი საბანკო და ტექნოლო-გიური კომპანია, რომელიც არსებობს მომხმარებ-ლებისთვის, ის ადამიანების ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ნაწილია და ემსახურება მათ ციფრულად. თიბისის კულტურა დაფუძნებულია გუნდზე, რომელიც არის: გამარჯვებული, ბედნიერი, ცნობისმოყვარე, შედეგზე ორიენტირებული, ღია ახალი შესაძლებლობებისთვის, კეთილსინდისიერი და ყოველთვის ასრულებს დანაპირებს კომპანიის მისიაა: გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება!

"პაშა ბანკი საქართველო" მსხვილი საინვესტიციო ჯგუფის, პაშა ჰოლდინგის საერ-თაშორისო წარმომადგენელი და კორპორატიულ სფეროში მოქმედი რეგიონული ბანკია. 2019 წლიდან ბანკმა საცალო მიმართულებით გააფარ-თოვა ბიზნესი და ამ სეგმენტს ახლა უკვე მისი ქვებრენდი **რე|ბანკის** მეშვეობით ემსახურება.

კრედო ბანკის მისიაა, ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისების შეთავაზებით ხელი შეუწყოს საქართველოს მეწარმეებს და მათ დასაქმებულებს უკეთესი მომავლის შექმნაში. ბანკის მიზანია შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო და ამავე დროს თანამშორმლებს გაუღრმავოს გუნდური მუშაობის უნარი.

TNET თინეთი საქართველოში ყველაზე დიდი ტექნოლოგიური კომპანიაა, რომელიც 9ციფრულ პლატფორმასა და 5 iOS და ანდროიდ აპლიკაციას აერთიანებს. თინეთში შემავალი ციფრული პლატფორმები და აპლიკაციები მომხმარებელს მომსახურებას 4 ძირითადი მიმართულებით სთავაზობს: Lifestyle, ელექტრონული კომერცია, ავტო და უძრავი ქონება.
ეს მიმართულებები თავს სუპერაპში მოიყრის. მარტივი ნავიგაციის მქონე Super app-ის მიზანია, ყოველდღიური მოხმარების ყველა საჭირო სერვისი მომხმარებელს ერთ აპლიკაციაში შესთავაზოს.

FINA LLC პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავებისა და IT საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც დაარსდა 2006 წელს . ,,ფინა"-ს სათაო ოფისი მდებარებს შარტავას ქუჩაზე. გვჯერა, რომ წარმატებული პროექტების, ეფექტური განვითარების სერვისების და რაც მთავარია კლიენტებთან მუდმივი ურთიერთობის გასაღები ჩვენი თანამშრომლები არიან.

სკანდივები eCommerce სააგენტოა, რომელიც თავის კლიენტებს როგორც ბიზნესის განვითარების სტრატეგიებით, ასევე UI დიზაინისა და ვებ დეველოპმენტ სერვისებით უზრუნველყოფს. სკანდივებს უმუშავია ისეთი კომპანიებისთვის, როგორიცაა L'Oreal, Lancome, Ford, BMW, Hyndai, Mitsubishi, Puma, The New York Times, THE MET და მრავალი სხვა.
სკანდივები მსოფლიოს მასშტაბით ამჟამად 550-ზე მეტ ადამიანს აერთიანებს, რაც ორგანიზაციაში მრავალფეროვანი გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

PSP ევროპული მედიკამენტების პირველი დისტრიბუტორი და ქართული ფარმაცევტული ბაზრის შექმნისა და განვითარების უმსხვილესი მონაწილეა. პსპ ჯგუფი აერთიანებს როგორც სააფთიაქო ქსელს, ასევე სადისტრიბუციო საქმიანობას, ფარმაცევტულ საწარმო GMP-ის, მომხმარებელს სთავაზობს ჰოსპიტალურ და სადაზღვეო სერვისებსაც. კომპანიის მიზანია უზრუნველყოს ხარისხიან მედიკამენტებზე ფინანსური, გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობა.

ავერსი დაარსდა 1994 წელს, დღეს ავერსი ჰოლდინგი ფლობს: სააფთიაქო ქსელს, ფარმაცევტულ საწარმოს, საქველმოქმედო და სადაზღვევო ფონდებს, ავერსი კლინიკას, კონსტანტინე ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრს, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკას, კლინიკა „მედალფას“; სამშობიარო სახლ „ახალ სიცოცხლეს“.
კომპანია გთავაზობთ: კარიერული წინსვლის პერსპექტივას, სამოტივაციო სისტემას, ადაპტირებულ სახელფასო სქემას, თვითრეალიზაციასა და თვითგანვითარებას.

"**იმპექსი"** სწრაფად მზარდი სააფთიაქო ქსელია, რომელიც ახორციელებს ექსკლუზიური მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის, კოსმეტიკის, კანისა და თმის მოვლის საშუალებების იმპორტს მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნიდან. "იმპექსფარმი" თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან მედიკამენტების მწარმოებელ კომპანიებთან, რომლებიც საერთაშორისო ფარმაცევტული სტანდარტით (GMP) აწარმოებენ მედიკამენტებს. კომპანია ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს.

ნუტრიმაქსი ქმნის მაღალი ხარისხის ცხოველთა საკვებს, ხელს უწყობს ფერმერებში ცოდნის გავრცელებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციას.
კომპანიის მისიაა ინოვაციურობისა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის დახმარებით გამორჩეული კორპორატიული კულტურის შექმნა და კომპანიის სტაბილური განვითარება. კომპანიას აქვს 12 წლიანი სამუშაო გამოცდილება და მასში დასაქმებულია 100-ზე მეტი ადამიანი. ნუტრიმაქსი ექსპორტს ახორციელებს სომხეთში, აზერბაიჯანსა და განაში.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ძირითადი მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება; მისი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.
ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს: კვლევას, კონსულტაციას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას.

MAC Georgia (მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის - McLain Association for Children, Georgia) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ასობით ადამიანს და მათთან მომუშავე მშობლებს, მასწავლებლებსა და სერვისების მომწოდებლებს ეხმარება საჭირო ცოდნისა და მხარდაჭერის მიღებაში.
ორგანიზაცია მუშაობს ისეთი საქართველოს შექმნისათვის, სადაც ყველას, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა, ექნება წვდომა იმ რესურსებსა და მხარდაჭერაზე, რაც საჭიროა მათი სრული პოტენციალის გამოსავლენად.

ა(ა)იპ ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის (HEAD) - ბავშვთა და ზრდასრულთა თანაბარი შესაძლებლობების და უფლებების რეალიზაციისთვის, მხარი დაუჭიროს მათ სოციალურ და ეკონომიკურ ინკლუზიას, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული სერვისების განვითარებას.

ჰერიო სტარტაპ კომპანიაა რომლის მიზანია დამატებითი შემოსავლის მიღების მქონე სტუდენტების ბიზნესებთან დაკავშირება. ონლაინ პლატფორმა აერთიანებს ბიზნესების წარმომადგენლებსა და მოქნილი დასაქმების მოდელით დაინტერესებულ სტუდენტებს და ეხმარება მათ ურთიერთთანამშრომლოებაში. პლატფორმის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კომფორტული მოკლევადიანი დასაქმების შესაძლებლობების დანერგგვას.

Hiro არის კომპლექსური HR სერვისების აუთსორსინგული სააგენტო, რომელიც კომპანია loialte-ს ბაზაზე შეიქმნა და მომხმარებელს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ კომპლექსურ და ინოვაციურ მომსახურებას სთავაზობს.

ფინბიურო არის სასესხო ვალდებულებების მართვის ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2015 წლიდან გამოჩნდა, კომპანია საფინანსო ორგანიზაციებისგან შეისყიდის სესხებს და მომხმარებლებს მათ საბოლოოდ დაფარვაში ეხმარება, რაც ითვალისწინებს მიმდინარე ვალდებულებების ერთ სივრცეში მოქცევას, მათ მენეჯმენტს და ინდივიდუალური შეღავათებისა და გრაფიკის შეთავაზებას. ფინბიურო საქართველოში ვადაგადაცილებული სესხების ყველაზე მსხვილ პორტფელს ფლობს.

'**RMG - რიჩ მეტალს გრუპი"** 2012 წლიდან ოპერირებს, კომპანია ახორციელებს სამთომოპოვებით საქმიანობას და ფლობს მეტალური წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიებს.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა, რომელიც აერთიანებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატს, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურსა და კლინიკა „ფერომედს“. კომპანია მაღალი ხარისხის ფეროშენადნობების უმსხვილესი მწარმოებელი და ექსპორტიორია.

თბილისის უნივერსიტეტი ∴ UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918

BDO

საქართველოს ბანკი

GCSD

Nexia TA

იუსტიციის სახლი

ECOVIS GEORGIA

scandiweb

ევექსი კლინიკები

FINA

სილქნეტი SILKNET

gwp

თიბისი

Herio

TNET

მუზეუმების გაერთიანება THE UNION OF MUSEUMS

MAC GEORGIA

VG VisitGeorgia

ლიბერთი

MOORE

ავერსი AVERSI

ნუტრიმაქსი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

PASHA Bank New heights. Together.

PSP

საქსტატი

2022

21 დეკემბერი